საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/269

ქ. ბათუმი 17 ნოემბერი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე-3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE) ძირითადი პერსონალის პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2022 წლის 17 ოქტომბრის N01-06/296 ბრძანებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ბსუ-ს ერაზმუს+ კოორდინატორის, ნანა ყურშუბაძის 2022 წლის 17 ნოემბრის N1468094 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში (კოიმბრა, მიუნსტერი, დაუგავპილსი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ტექნოლოგიური, ეკონომიკისა და ბიზნესის და ფაკულტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:

ა) მიუნსტერის უნივერსიტეტისათვის კონკურში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტაცია (CV, მოტივაციის წერილი, ნიშნების ფურცელი, არსებობის შემთხვევაში, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - მინიმუმ B1) წარადგინონ 2022 წლის 17 ნოემბრიდან 2022 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით 12:00 საათამდე (CET 12:00 AM). მიუნსტერის უნივერსიტეტის შემდეგ ელ მისამართზე: erasgerm@uni-muenster.de

ბ) გერმანული ენის დონის (B1/B2) დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, მსურველებმა მიმართონ რექტორს განცხადებით (მიუთითონ ტესტირების დონე - B1/B2) სტუდენტური პორტალის მეშვეობით არაუგვიანეს 23 ნოემბრის 18:00 საათისა.

გ) ტესტირება/გამოცდა გერმანულ ენაში (B1/B2) - 2022 წლის 25 ნოემბერი, 10:00 საათი. (აპლიკანტები, რომლებიც გადალახავენ დადგენილ ბარიერს გერმანულ ენაში და წარმატებით წარადგენენ ელ ფოსტაზე erasgerm@uni-muenster.de დოკუმენტების პაკეტს, მასპინძელი უნივერსიტეტიდან (მიუნსტერი) მიიღებენ კონკურსის შემდეგი ეტაპის - გასაუბრების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გაიმართება მასპინძელი

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან 2022 წლის 01 დეკემბერს ელექტრონული პლატფორმა ზუმის საშუალებით)

1.1. კოიმბრას პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და დაუგავპილსის უნივერსიტეტისთვის კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია წარადგინონ - 2022 წლის 17 ნოემბერიდან 23 ნოემბერის 18:00 საათამდე - ელექტრონულ პლატფორმაზე - http://registration.bsu.ge და სტუდენტურ პორტალზე (ბსუ-ს სტუდენტურ პორტალზე აპლიკანტმა განცხადებაში რექტორის სახელზე უნდა მიუთითოს: ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, ტესტირების სასურველი ენა და დონე, (ინგლისური B1/B2,) და ატვირთოს წარმოსადგენი დოკუმენტები გაერთიანებულ ერთი ფაილის სახით (ZIP)).

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება- 2022 წლის 24 ნოემბერი, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ;

ბ) ტესტირება/გამოცდა **ინგლისურ** ენაში (ინგლისური B1/B2) - 2022 წლის 25 ნოემბერი, 10:00 საათი (კონკურსში მონაწილე კონკურსანტებმა, რომლებმაც 2022 წლის 11 ნოემბერს გაიარეს ტესტირება უცხო ენაში და წარმატებით გადალახეს დადგენილი ბარიერი, **ტესტირებაში მონაწილეობა არ არის სავალდებულო);**

გ) გასაუბრება კონკურსანტებთან- 2022 წლის 25 ნოემბერი, 15:00 საათი;

დ) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - არაუგვიანეს 2022 წლის 25 ნოემბრისა.

2. **დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული** კოიმბრას პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და დაუგავპილსის უნივერსიტეტისთვის **კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე -თავმჯდომარეს მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დ) ჟუჟუნა გუმბარიძე - ასოცირებული პროფესორი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბსუ-ს ერაზმუს+ კოორდინატორი;

ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

თ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

ი) მარინე გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ;

კ) მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**